სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70725658429219

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191499019

რეგისტრაციის თარიღი

11.12.2019 წ

ნოტარიუსი: დავით მეფარიშვილი
მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის გამზ 110
ტელეფონი: 2477029, 598262299, 593262299

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის თერთმეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუსს დავით მეფარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N 110-ში, მომმართა გიორგი ქურციკიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ვლადიმერ უგულავას სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გიორგი ქურციკიძეს და მოითხოვა სანოტარო მოქმედება შემესრულებინა სანოტარო ბიუროს გარეთ. მე გამოვცხადდი მისამართზე საქართველო, თბილისი, დემეტრე თავდადებულის 29, სადაც დამხვდა ვლადიმერ უგულავა, რომელმაც განაცხადა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს G & A GROUP-ის (ს/კ: 404943683) წარმომადგენელი და სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გიორგი ქურციკიძეს. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვლადიმერ უგულავამ (დაბ. 24.02.1972წ, პ/ნ №01026003992, მცხ.საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 2, ბინა 76) მონაწილეობდა სანოტარო მოქმედებაში; მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე ვლადიმერ უგულავას უფლებამოსილება წესდებით და ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს G & A GROUP-ის შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19086938, 12/08/2019 17:44:01 ს/კ: 404943683, ი/მისამართი: საქართველო თბილისი საბურთალოს რაიონი დემეტრე თავდადებულის ქ. №29; შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ცხრამეტი წლის თერთმეტ დეკემბერს მე, ვლადიმერ უგულავა (დაბ. 24.02.1972წ, პ/ნ №01026003992, მცხ.საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 2, ბინა 76), როგორც შპს G & A GROUP-ის(ს/კ: 404943683, ი/მისამართი: საქართველო თბილისი საბურთალოს რაიონი დემეტრე თავდადებულის ქ. №29) წარმომადგენელი,, შემდეგში „მარწმუნებელი“, ამ მინდობილობით გიორგი ქურციკიძეს (დაბ. 17.11.1987წ, პ/ნ №01015018332, მცხ.საქართველო, ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N 7ა, ბინა 17), (შემდეგში „რწმუნებული“) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს შპს G & A GROUP-ის (ს/კ: 404943683) წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციასა და დაწესებულებებში, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურებში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში, სანოტარო ბიუროში, გამგეობაში, საკრებულოში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, დაგეგმარების სამსახურში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერ საარქივო დაწესებულებაში და სხვა. მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ კერძო წარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს შპს G & A GROUP (ს/კ: 404943683). მათ შორის, ყველა იმ ურთიერთობაში, რაც დაკავშირებულია მიმნდობის/საკუთრებაში სარგებლობაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით. შეიტანოს განცხადება და/ან განაცხადი, გასცეს თანხმობები, შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება კომპეტენტურ ორგანოში, მონაწილეობა მიიღოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები: ცნობები, განცხადებები, თანხმობები (მათ შორის ელექტრონული ვერსია), შპს G & A GROUP-ის (ს/კ: 404943683) სახელზე დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავი ქონება, მოახდინოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია, სტატუსის შეცვლა, ნომრის მინიჭება, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, შეასწოროს და აღმოფხვრას ყოველგვარი ხარვეზი, ატვირთოს ელექტრონული ვერსია გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყოველგვარი გადასახადი, მარწმუნებლის ნაცვლად მოაწეროს ხელი და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში და დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

რწმუნებულს უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს/პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

მინდობილობა გაცემულია 1 წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცი წლის თერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია ოთხი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში. უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაცია დაცულია ნოტარიუს დავით მეფარიშვილის სანოტარო არქივში (რ/რ N191110733)

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების საფუძველზე გადახდილია: 10 ლარი 31.7 მუხლის საფუძველზე, 20 ლარი 34.2 მუხლის საფუძველზე, 2 ლარი დღგ-ს ჩათვლით 39.1 მუხლის საფუძველზე, დღგ 5.4 ლარი საგადასახადო კოდექსის 169 მუხლის საფუძველზე. სულ გადახდილია 37.4 ლარი;

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი დავით მეფარიშვილი